

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 26 ნოემბრის =68 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 26 ნოემბრის =68 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 577 275 ლარით გაიზარდოს და სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 4 075 007 ლარით, საიდანაც 17 896 ლარი მიემართება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების (ზოგადი ქიმია) პროფესორ-მასწავლებლებისთვის შრომის ანაზღაურების გადახდის მიზნით, ხოლო სტუდენტთა დახმარებისა და სწავლის საფასურის გადასახადიდან გათავისუფლების მიზნით საშემოსავლო ნაწილი მცირდება 30 000 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობამ 643 862 ლარის ნაცვლად შეადგინოს 705 703 ლარი ანუ 61 841 ლარით მეტი. საბოლოოდ, სულ ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავალი განისაზღვროს 4 027 111 ლარით, საიდანაც 296 038 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში აისახება სუბსიდიის მუხლში, ხოლო 171 500 ლარი დაემატება და გაიწერება ბიუჯეტის მუხლებში საჭიროებისამებრ: თანამდებობრივი სარგოს მუხლში 27 000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 70 000 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 1 500 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება-დემონტაჟის ხარჯები 45 000 ლარი; ელექტროენერგიის ხარჯები 5 000 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯები 10 000

ლარი; მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯები 5 000 ლარი; ძირითადი აქტივების მუხლში 8 000 ლარი;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 702 643 ლარით და სულ შემოსავალი განისაზღვროს 4 888 657 ლარით, საიდანაც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა 627 902 ლარის ნაცვლად შეადგენს 668 257 ლარს ანუ 40 355 ლარით მეტს. ასევე, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების ლექცია-სემინარების წაკითხვის მიზნით, ქიმიამეტალურგიის ფაკულტეტს ტრანსფერის სახით გადაეცეს 49 462 ლარი. საბოლოოდ, სულ ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავალი განისაზღვროს 4 839 195 ლარით, საიდანაც 638 171 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში აისახება სუბსიდიის მუხლში.

გარდა ამისა, განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ ოფისის ხარჯები შემცირდეს 91 939 ლარით, მათ შორის ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლოსასტამბო ხარჯები შემცირდეს 1 997 ლარით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება-დემონტაჟის ხარჯები 56 879 ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯები 2 963 ლარით; შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე რემონტის ხარჯები 38 100 ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯები 1 000 ლარით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები შემცირდეს 14 245 ლარით, კერძოდ სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები 11 000 ლარით; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები 459 ლარით; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები 2 786 ლარით.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შემცირდეს 162 220 ლარით, კერძოდ არასაცხოვრებელი შენობების 500 ლარით; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის 155 906 ლარით; ელმოწყობილობების, რადიოს, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის 118 086 ლარით; სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების 5 814 ლარით.

სულ შიგამუხლობრივი ცვლილებების შედეგად გამოთავისუფლებული თანხა 268 404 ლარი გადანაწილდეს და დაემატოს: სუბსიდიას 25 345 ლარი, დანარჩენ ხარჯებს 243 059 ლარი. შრომის ანაზღაურება გაიზარდოს 216 466 ლარით, მათ შორის თანამდებობრივი სარგო 82 160 ლარით; პრემია 134 306 ლარით; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 24 473

ლარით; მივლინება 350 ლარით; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 1 770 ლარით.

სულ ასიგნებები გაიზარდოს 612 826 ლარით და მთლიანად მიმართულ იქნეს სუბსიდიის მუხლში, რომელსაც ასევე დაემატება შიგამუხლობრივი ცვლილებების შედეგად გამოთავისუფლებული თანხა 25 345 ლარი და 638 171 ლარს შეადგენს.

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 169 725 ლარით: საკუთარი შემოსავლიდან 165 539 ლარით, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან 4 186 ლარით. რაც შეეხება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის ოდენობას, უცვლელი რჩება და 50 866 ლარს შეადგენს. საბოლოოდ, ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავალი სულ განისაზღვროს 2 737 904 ლარით, საიდანაც 151 586 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში აისახება სუბსიდიის მუხლში. ასევე, განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ შემცირდეს მივლინების ხარჯი 1 000 ლარით; საკანცელარიო, საწერ-სახაზავი და სხვა მასალების შეძენის ხარჯები 560 ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 4 852 ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნების, მასალებისა და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯები 2 954 ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯები 7 958 ლარით; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯები 1 200 ლარით; ბუნებრივი აირის ხარჯები 11 103 ლარით.

გარდა ამისა, შიგამუხლობრივი ცვლილებების შედეგად გამოთავისუფლებული თანხა 29 627 ლარი და სხვაობა გაზრდილ შემოსავალსა და სუბსიდიას შორის 18 139 ლარი, სულ 47 766 ლარი გადანაწილდეს და დაემატოს შემდეგ ხარჯებს: კავშირგაბმულობის ხარჯები 200 ლარი; წყლის ხარჯები 35 000 ლარი; ელენერგიის ხარჯები 11 420 ლარი; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები 700 ლარი; მოსაკრები 446 ლარი.

„ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯების“ მუხლიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს „ბინის ქირის (იჯარასა და ქირასთან დაკავშირებული ხარჯები)“ მუხლში;

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 214 734 ლარით, სადაც საკუთარი შემოსავლიდან იზრდება 147 376 ლარით: სამშენებლო ფაკულტეტიდან გადმოცემული ტრანსფერით 17 896 ლარი, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან გადმოცემული ტრანსფერით 49 462 ლარი; ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობამ 268 636 ლარის ნაცვლად შეადგინოს 244 303 ლარი, რაც 24 333 ლარით ნაკლებია დამტკიცებულთან

შედარებით. საბოლოოდ, ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავალი სულ განისაზღვროს 3 364 845 ლარით, საიდანაც 239 067 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში აისახება სუბსიდიის მუხლში. ასევე, განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიის რემონტის ხარჯებიდან 63 000 ლარი გადავიდეს ხელფასის მუხლში, ხოლო წყლის ხარჯების მუხლში 2 000 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაში გაწეული ხარჯების მუხლში გადავიდეს 220 ლარი, სხვა არამატერიალურ აქტივების მუხლში 7 000 ლარი;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 1 003 312 ლარით და სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 5 530 050 ლარით, საიდანაც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა 606 238 ლარის ნაცვლად შეადგენს 650 047 ლარს ანუ 43 809 ლარით მეტს, ხოლო 858 903 ლარი ბიუჯეტში აისახოს სუბსიდიის მუხლში;

განხორციელდეს გაზრდილი მოცულობიდან ბიუჯეტის ზოგიერთ მუხლში თანხის დამატება, კერძოდ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 22 000 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის ხარჯებში 3 600 ლარი; შენობა-ნაგებობების რემონტის მუხლში 1 000 ლარი; მივლინების მუხლში 25 000 ლარი; პრემიებისა და დახმარების მუხლში 8 000 ლარი; ელმოწყობილობების შეძენის მუხლში 25 000 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მანქანა-დანადგარების შენახვა-ექსპლუატაციის მუხლში 1 000 ლარი; მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენ მიმდინარე ხარჯებში 15 000 ლარი; ადმინისტრაციის გადასახდელების გადასაცემ დამატებით თანხას 43 809 ლარი;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 406 712 ლარით და სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 1 981 899 ლარით, საიდანაც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა 163 922 ლარის ნაცვლად შეადგენს 188 470 ლარს ანუ 24 548 ლარით მეტს. ასევე, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების ლექცია-სემინარების წაკითხვის მიზნით, სხვა ფაკულტეტებს ტრანსფერის სახით გადაეცეს 7 447 ლარი, აქედან ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს 3 261 ლარი, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტს 4 186 ლარი. სულ ფაკულტეტის შემოსავალი განისაზღვროს 1 974 452 ლარით, საიდანაც 275 484 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში აისახება სუბსიდიის მუხლში.

ასევე, განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ თანამდებობრივი სარგოს მუხლში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 46 250 ლარი და 1 029 772 ლარი შეადგინოს; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 500 ლარი და 950 ლარი შეადგინოს; მიმდინარე ხარჯების მუხლში

დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 500 ლარი და შეადგინოს 2 000 ლარი; მივლინების მუხლში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 2 000 ლარი და 8 150 ლარი შეადგინოს; პრემიის მუხლში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 7 000 ლარი და 35 000 ლარი შეადგინოს; ელენერგიის ხარჯებში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 3 000 ლარი და 17 984 ლარი შეადგინოს; წყლის ხარჯში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 3 429 ლარი და 30 248 ლარი შეადგინოს; წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში დამატებით გათვალისწინებულ იქნეს 8 000 ლარი და 10 000 ლარი შეადგინოს.

ასევე, შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიის რემონტის ხარჯებიდან 49 818 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი აირის ხარჯებში;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2 338 738 და სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 14 255 078 ლარით, საიდანაც ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, მათემატიკის ლექცია-სემინარების წაკითხვის მიზნით, მიემართება 22 230 ლარი, ხოლო სტუდენტთა დახმარებისა და სწავლის საფასურის გადასახადიდან გათავისუფლების მიზნით 100 000 ლარი.

შემცირდეს ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი 5 132 358 ლარით. საბოლოოდ, სულ შემოსავალი განისაზღვროს 14 132 848 ლარით, საიდანაც 1 550 150 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში აისახება სუბსიდიის მუხლში, ხოლო თანამდებობრივი სარგოს მუხლს დაემატოს 150 000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს 186 000 ლარი; დანამატის მუხლს 1 500 ლარი; მივლინების მუხლს 10 000 ლარი.

ასევე, განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში 350 000 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში 7 000 ლარი; წყლის ხარჯებში 35 000 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებში 45 000 ლარი; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურების ხარჯებში 3 000 ლარი;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 521 928 ლარით, კერძოდ საკუთარი შემოსავლიდან 496 437 ლარით; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან გადმოცემული ტრანსფერით 3 261 ლარით და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტიდან გადმოცემული ტრანსფერით 22 230 ლარით. სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 9 430 924 ლარით, საიდანაც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა უცვლელი რჩება და 718 920 ლარს შეადგენს. სულ ბიუჯეტში გაწერილი

ასიგნებების განხორციელების შემდეგ 521 928 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტში ასახოს სუბსიდიის მუხლში.

ასევე, განხორციელდა შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 8 000 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში; არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 37 000 ლარი ბუნებრივი აირის ხარჯების მუხლში, ხოლო 9 000 ლარი რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლში; ნორმატიული აქტებისა და სპეც. ლიტერატურის შეძენის მუხლიდან 2 000 ლარი რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლში;

9. დიზაინის საერთაშორისო სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი უცვლელი დარჩეს და 218 000 ლარი შეადგინოს. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებიდან გადაცემული ტრანსფერის ჩათვლით ბიუჯეტში გაწერილი ასიგნებები სულ შეადგენს 400 000 ლარს. ასევე, განხორციელდეს შიგამუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლში, ხოლო ხარჯები გაიწეროს ფაკულტეტის ბიუჯეტში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის;

10. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი უცვლელი დარჩეს და შემოსავალი განისაზღვროს 767 250 ლარით. ხარჯები გაიწეროს ფაკულტეტის ბიუჯეტში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის;

11. სტუ-ის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდოს 647 078 ლარით და განისაზღვროს 7 725 177 ლარით, საიდანაც ტრანსფერის სახით დიზაინის საერთაშორისო სკოლას გადაეცემა 182 000 ლარი. საბოლოოდ, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტი განისაზღვროს 7 543 177 ლარით, რაც 465 078 ლარით მეტია დამტკიცებულთან შედარებით.

ზემოაღნიშნული 465 078 ლარი გაიწეროს კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში: წოდებრივ სარგოს დაემატოს 5 580 ლარი; პრემიის მუხლს 10 000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს 322 073 ლარი; ნორმატიული აქტების, ჟურნალ-გაზეთებისა და ბეჭდვის ხარჯებს 5 000 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯებს 25 000 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებს 24 000 ლარი; წარმომადგენლობით ხარჯებს > 15 000 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ დანარჩენ ხარჯებს > 6 000 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯებს 425 ლარი; სუბსიდიის მუხლს 52 000 ლარი;

12. დამტკიცდეს 2014 წლის სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დამტკიცებულ ბიუჯეტებსა და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

12.1. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 1 196 ლარი, დანამატის მუხლიდან 60 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 626 ლარი, ელენერგიის ხარჯებიდან 150 ლარი, წყლის ხარჯებიდან 50 ლარი, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 50 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.2. ინსტიტუტ ტექნიფორმის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 3 420 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან 100 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 348 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 900 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.3. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 18 722 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 1 000 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან 100 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 1 340 ლარი, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 750 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 300 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 200 ლარი, ელენერგიის ხარჯებიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.4. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 1 015 ლარი, დანამატის მუხლიდან 635 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 1 145 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.5. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 12 136 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 1 613 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 574 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 396 ლარი, ელენერგიის ხარჯებიდან 1 108 ლარი, წყლის ხარჯებიდან 2 502 ლარი, დასუფთავების მოსაკრების ხარჯებიდან 410 ლარი, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 2 317 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.6. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 2 100 ლარი, დანამატის მუხლიდან 60 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან 37 ლარი, კავშირგაბმულობის მომსახურების ხარჯების მუხლიდან 94 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.7. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 12 985 ლარი, დანამატის მუხლიდან 60 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 1 350 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან 354 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან 735 ლარი, საოფისე ტექნიკის მოვლა-შენახვის,

ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 90 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 50 ლარი, ინტერნეტის ხარჯებიდან 450 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯებიდან 726 ლარი, სხვა ხარჯების (მოსაკრების) მუხლიდან 200 ლარი, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.8. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 2 350 ლარი, წყლის ხარჯებიდან 661 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 200 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯებიდან 3 071 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

12.9. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 3 431 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 26 ნოემბრის #68 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 26 ნოემბრის #68 სხდომაზე სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ალექსანდრე შერაზადიშვილმა წარმოადგინა ანგარიში 2013-2014 წლების სტუ-ის თანამშრომელთა მივლინებების შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2013-2014 წლების სტუ-ის თანამშრომელთა მივლინებების შესახებ;
2. აღნიშნული ანგარიში რეაგირებისა და სათანადო ღონისძიებების გასატარებლად გადაეგზავნოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე